



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 690
04/04/2018

ქალაქი ბათუმი

690-05-4-201804041442



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, პირველი, მე-2 პუნქტის და 38-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. შეიქმნას საკონკურსო კომისია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კანონით დადგენილი წესით კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად;
2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ განისაზღვროს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი მირზა ბახტაძე;
3. საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით;
4. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარე(ებ)ზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

